

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების CASE OF AMIHALACHIOAIE v. MOLDOVA (განაცხადის N60115/00)<sup>1</sup> მოკლე მიმოხილვა**

*თამარ წულუკიძე (სტუდენტი)  
სოფიკო ჩიხრაძე (სტუდენტი)*

**პროცედურა:**

განმცხადებელი იყო ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტი, რომელიც მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ დააჯარიმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკულად შეფასებისთვის. მისი განცხადება სასამართლომ მიიჩნია შეურაცხყოფად, თუმცა განმცხადებლის მითითებით, მისი შეხედულება სიტყვის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ჯდებოდა, რაც კონვენციის მე-10 მუხლით იყო გარანტირებული. მოლდოვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებით, თავისი თანამდებობისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, განმცხადებელს უნდა სცოდნოდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას პატივისცემით უნდა მოჰკიდებოდა, ხოლო მომჩივნის განცხადება იმდენად უხეში და შეურაცხყოფელი იყო, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს სცდებოდა. განცხადება თავდაპირველად გადაეცა სასამართლოს პირველ განყოფილებას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), ხოლო შემდეგ ახლად ჩამოყალიბებულ მეორე პალატას.

**ფაქტები:**

მოლდოვაში მოქმედებდა კანონი, რომლის მიხედვით, ქვეყნის ყველა ადვოკატი ვალდებული იყო გამხდარიყო მოლდოვის ადვოკატთა საბჭოს წევრი. აღნიშნული კანონი საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო. მოლდოვის ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა სტატია, სადაც გაშუქდა საზოგადოების რეაქცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მათ შორის, სტატიაში ციტირებული იყო მომჩივნის, ადვოკატთა საბჭოს თავმჯდომარის, ამიჰალაჩიოაიეს კრიტიკული რეაქცია ზემოთ ხსენებული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობაზე. ამიჰალაჩიოაიეს განცხადებით “საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნება სრული ანარქია იურიდიულ პროფესიაში. იურისტის პროფესია მთელ მსოფლიოში დამოუკიდებელია, მაგრამ მოლდოვაში იგი ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას, რაც დემოკრატიული პრინციპების სერიოზული დარღვევაა.” საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ამიჰალაჩიოაიე ეს გამონათქვამები იყო უხეში და გამოხატავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას. სასამართლომ მომჩივნის დააკისრა ჯარიმა 360 მოლდოვური ლარის ოდენობით (36 ევროს ექვივალენტი). მოსარჩელის განმარტებით, კი გაზეთის ჟურნალისტთან სატელეფონო კომუნიკაცია შედგა. ჟურნალისტმა კი ამ სატელეფონო ინტერვიუს შემდეგ საგაზეთო სტატიისთვის კონტექსტიდან ამოღებული ფრაზები გამოიყენა.

**კანონმდებლობა:**

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისთვის ჯარიმის დაკისრება წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. განმცხადებლის განმარტებით, ჩარევა არ იყო “კანონით განსაზღვრული” ან “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებისთვის”. გარდა ამისა, მოლდოვის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის წინაპირობებს, რა მოქმედების განხორციელებისთვისაც უნდა

<sup>1</sup><https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Amihalachioaie%20v.%20Moldova%22%5D,%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-61716%22%5D%7D>

დაეკისროს პირს ჯარიმის გადახდა, მომჩივნის ქმედება არ აკმაყოფილებდა. ამავდროულად, მართალია, მოლდოვის მთავრობამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში, მაგრამ ამტკიცებდა, რომ იგი აკმაყოფილებდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

### **სამართლებრივი შეფასება:**

სასამართლოს მითითებით კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი საკმარისი სიზუსტითაა ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს განჭვრეტა მის მიერ განხორციელებული ქმედება კონკრეტულ გარემოებაში რამდენად გონივრულად იქნება შეფასებული. სასამართლო აღნიშნავს რომ ადვოკატს, როგორც სპეციალური სტატუსის მატარებელ ფიგურას მინიჭებული აქვს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის შუამავლის როლი. ზოგიერთი ქვეყნის შეზღუდვა ადვოკატის პროფესიის მქონე პირებისათვის, სწორედ ამ სტატუსის არსებობითაა განპირობებული. ადვოკატები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით და უფლება აქვთ საჯაროდ გააკეთონ კომენტარი მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, იმ პირობით, რომ მათი კრიტიკა არ შელახავს სხვათა უფლებებს. კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული იდეებსა და ინფორმაციის არსს, არამედ მათ გადმოცემის ფორმასაც. სასამართლომ, ზედამხედველობითი როლის შესრულებისას უნდა შეისწავლოს ჩარევა და უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება იგი აუცილებელ სოციალურ საჭიროებას. იყო თუ არა მიღებული გადაწყვეტილება ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. განმცხადებელი დაჯარიმდა გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუსთვის, რის გამოც იბადება კითხვა მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურობასთან და უფლებოსილების გადაჭარბებასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტებით, 82-ე მუხლით დაჯარიმებადია ისეთი ქმედება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ აშკარად უპატივცემულობაში გამოიხატავს. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის ეს ფორმა აბსოლუტური სიზუსტით არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მისი ეს სიტყვები დაექვემდებარებოდა საპროცესო კოდექსით დაჯარიმებას. სასამართლოს მოსაზრებით, ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, რადგან პასუხისმგებლობის ეს ფორმა გამართლებულია სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების აუცილებლობით. თუმცა, მომჩივნის გამოქმული აზრი ვერ შეფასდება იმდენად უხეშად, რომ მის საპასუხოდ გამოყენებული ჯარიმა 360 ლეი (36 ევროს ექვივალენტი) გამართლებულ სანქციად ჩაითვალოს. მართალია, აღნიშნული თანხა არის მოკრძალებული, მაგრამ მაინც ასრულებს თავის სადამსჯელო ფუნქციას.

ამდენად, არ არსებობდა „აუცილებელი სოციალური საჭიროება“ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის. ეროვნული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი უფლების შეზღუდვის გასამართლებლად და ჯარიმის დაკისრება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო აუცილებელ და საჭირო ქმედებად. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე -10 მუხლის დარღვევას.